სამართლის, ისევე როგორც სხვა დარგების მთავარი მიზანი ადამიანია. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა უამრავი ამოცანის შესრულება, თუმცა მიზანი ერთია და ეს ადამიანი და მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაა. სამართალში ამ მიზანს პირდაპირ ემსახურება სასამართლო ხელისუფლება, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში სამართლის მთავარი მიზნის მიღწევადობა პირდაპირაა დამოკიდებული სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაზე. ისლამური სახელმწიფოების ხსენებისთანავე ასოციაციურად შესაძლოა სამართლით დაინტერესებულმა ადამიანმა, შორეული აღმოსავლეთის უდავოდ მშვენიერი კულტურის გარდა, გაიხსენოს უამრავი შემთხვევა, როცა ირღვევა ადამიანის უფლებები. ჩვენ გვახსოვს ისეთი პოპულარული საქმეები, როგორებიცაა, თუნდაც, სორაიას ჩაქოლვის ან მალალას საქმე და ბოლოდროინდელი ტრაგედია, რომელიც 22 წლის გოგონას მაჰსა ამინის სიკვდილი და მის შემდეგ განვითარებული მოვლენებია, თუმცა ეს უკანასკნელნი თითქოს უბრალოდ სტატისტიკად ქცეულან. თუ როგორ ირღვევა ადამიანის უმნიშვნელოვანესი, ბუნებითი უფლებები ჩვენგან არც ისე შორს, ასეთი შემთხვევების სიმრავლის გამო, სამწუხაროდ, უკვე სტატისტიკაა. დიდი ბერნანდ შოუ ამბობს, ერთი ადამიანის გარდაცვალება ტრაგედიაა, ერთზე მეტის კი უკვე სტატისტიკაო, იგივე ვრცელდება უფლებათა რღვევაზე. ფაქტია, პრობლემა პრობლემად რჩება და პრობლემის სათავეების ძებნა აუცილებლად მიგვიყვანს ისლამურ სახელმწიფოებში სასამართლო ხელისუფლებამდე. რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებათა მასობრივი რღვევის პრობლემის სათავის ძიება საზოგადოების ფსიქოტიპისა და მენტალობის გამოკვლევით უნდა დაიწყოს, მაგრამ ეს საკმაოდ რთული მისიაა. წინამდებარე სტატიის მიზნად კი სჯობს ისლამური სახელმწიფოების სასამართლო ხელისუფლებაზე ისლამის გავლენა დავტოვოთ.

ისლამური სახელმწიფოების მთავარი სპეციფიკა რომ რელიგიური შეხედულებებია, ეს სიახლეს არ წარმოადგენს, სწორედ ამ ნიშნით ერთიანდებიან ისინი. თუმცა, აქვე მინდა გავაკეთო ერთი შენიშვნა: რელიგიური დოგმატიკა, შესაძლოა, სხვადასხვანაირად იყოს გააზრებული, მისი უხეში ინტერპრეტაცია კი კონკრეტული რელიგიისადმი არასწორი წარმოდგენების ჩამოყალიბებას იწვევს, მაგრამ ჩვენი ამჟამინდელი მიზანი არ არის ისლამური რელიგიის ჭეშმარიტი იდეოლოგიის გამომჟღავნება, ამიტომ სტატიის ფარგლებში რელიგიურ თემატიკას სიღრმისეულად არ შევეხებით. წინამდებარე სტატიის მიზანია წარმოვაჩინოთ ისლამის გავლენა სასამართლო ხელისუფლებაზე ისეთ ისლამურ სახელმწიფოებში, როგორებიცაა: ირანი, ერაყი, ავღანეთი, სომალი, საუდის არაბეთი, ქუვეითი, იემენი, ეგვიპტე, პაკისტანი, მალაიზია, პალესტინა და თურქეთი. მოცემულ სახელმწიფოებს აერთიანებთ მუსლიმი მოსახლეობის უმრავლესობა. მიუხედავად იმისა, რომ მათი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად მსგავსია, მათ შორისაც არსებობს განსხვავებები. სწორედ ამ მსგავსება-განსხვავებების წარმოჩენასა და გაანალიზებას ემსახურება ჩვენი კვლევაც.

ᲘᲡᲚᲐᲛᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ

ზემოთ მოხსენიებული ქვეყნების ისლამთან მჭიდრო კავშირი სრულიად ცხადია, თუმცა საინტერესოა კონსტიტუციური ჩანაწერები, რომლებშიც ეს კავშირი იკვეთება. საკვლევი ქვეყნების სრულ უმრავლესობაში ისლამი გამოცხადებულია სახელმწიფო რელიგიად, მართალია ზოგიერთ მათგანში ნახსენებია, რომ პატივს სცემენ სხვა რელიგიებს, თუმცა ყველა შემთხვევაში მოცემულ ქვეყნებში რელიგიურ სეკულარიზმზე საუბარი ზედმეტია.

საინტერესო ფაქტია, რომ, მაგალითად, სომალის რესპუბლიკაში კონსტიტუციის 17-ე მუხლით გარანტირებულია ადამიანების უფლება – თავისუფლად აირჩიონ და მისდიონ საკუთარ რელიგიას, თუმცა ამავე მუხლის მეორე წინადადებით, ისლამის გარდა, სხვა ნებისმიერი რელიგიის პროპაგანდა დაუშვებელია.¹ საკვლევი 12 ქვეყნიდან 11 ქვეყანა-

ში სწორედ მსგავსი მიდგომაა რელიგიასთან დაკავშირებით, გამონაკლისს წარმოადგენს თურქეთი, სადაც, მართალია, ისლამური რელიგიის მიმდევრები მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ, თუმცა თურქეთი ამჯობინებს რელიგიური სეკულარიზმის პრინციპს და ეს განმტკიცებულია როგორც კონსტიტუციის პრეამბულაში, ისე კონკრეტულ მუხლებში, მაგალითად, თურქეთის კონსტიტუციის 24-ე მუხლი.² მოცემული მიმოხილვა ემსახურება მიზანს, მკითხველს შეექმნას ზოგადი წარმოდგენა ქვეყნების სამართლებრივი სისტემების რელიგიისადმი კუთვნილებაზე. ახლა კი უფრო კონკრეტულად, საინტერესოა მიმოვიხილოთ ისეთი საკანონმდებლო ჩანაწერები, რომლებიც პირდაპირ უსვამს ხაზს რომ კანონმდებლობის ძირითადი წყარო სწორედ ისლამია. ისლამთან უკვე ამგვარი დაკავშირება კონსტიტუციურ დონეზე პირდაპირი გაცხადებაა იმისა, რომ ნებისმიერი სამარლებრივი აქტი მკაცრად მოწმდება ისლამური სამართლის დოგმატიკის გათვალისწინებით. ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა **პალესტინა** (კონსტიტუციის მე-5 მუხლი)³, **ქუვეითი** (მე-2 მუხლი)⁴, ეგვიპტე (მე-2 მუხლი)⁵, **სომალის რესპუბლიკა** (50-ე მუხლი)⁶, **ავღანეთი** (მე-3 მუხლი)⁷, **იემენი** (მე-3 მუხლი)⁸, **მალაიზია** (მე-3 მუხლი)⁹ ისლამი,

lia-Constitution2012.pdf> [Last seen: 30.11.2022].

- Constitution of the Republic of Turkey [7.11.1982]. https://www.refworld.org/docid/3ae6b5be0.html> [Last seen: 30.11.2022].
- Constitution of the State of Palestine [7 March 2003, revised in March 25,2003]. http://menarights.org/sites/default/files/2016-11/PAL Constitution2003 EN 0.pdf [Last seen: 30.11.2022].
- 4 Kuwaiti Constitution. https://wipolex-res.wipo.int/ed-ocs/lexdocs/laws/en/kw/kw004en.pdf [Last seen: 30.11.2022].
- The Constitution of the Arab Republic of Egypt, 1971. https://constitutionnet.org/sites/default/files/Egypt%20 Constitution.pdf> [Last seen: 30.11.2022].
- The Federal Republic of Somalia, Provisional Constitution [01.08.2012]. http://hrlibrary.umn.edu/research/Somalia-Constitution2012.pdf [Last seen: 30.11.2022].
- Afghanistan's Constitution 2004. ">https://www.constitute-project.org/constitution/Afghanistan_2004.pdf?lang=en>">https://www.constitute-project.org/constitution/Afghanistan_2004.pdf?lang=en>">https://www.constitute-project.org/constitution/Afghanistan_2004.pdf?lang=en>">https://www.constitute-project.org/constitution/Afghanistan_2004.pdf?lang=en>">https://www.constitute-project.org/constitution/Afghanistan_2004.pdf?lang=en>">https://www.constitute-project.org/constitution/Afghanistan_2004.pdf?lang=en>">https://www.constitute-project.org/constitution/Afghanistan_2004.pdf?lang=en>">https://www.constitution/Afg
- Constitution of Yemen [16.05.1991]. http://hrlibrary.umn.edu/research/yemen-constitution.html [Last seen: 30.11.2022].
- Laws of Malaysia Federal Constitution 2009. https://www.jac.gov.my/spk/images/stories/10_akta/perlem-bagaan_persekutuan/federal_constitution.pdf [Last seen: 30.11.2022].

¹ The Federal Republic of Somalia, Provisional Constitution [01.08.2012]. http://hrlibrary.umn.edu/research/Soma-

კერძოდ კი, შარიათი მოხსენიებულია ქვეყნის კანონმდებლობის ძირითად წყაროდ. **სა**უდის არაბეთში¹º კანონმდებლობის ძირითად წყაროდ მოხსენიებულია სამართლიანობა და თანასწორობა, რომელიც, თავის მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს ისლამს. **ერაყის**¹¹ კონსტიტუციით კანონმდებლობის წყაროდ ისლამური კანონის მითითება კი არ ხდება, არამედ გაცხადებულია, რომ დაუშვებელია ისეთი კანონის მიღება, რომელიც ეწინააღმდეგება ისლამს. ეს შინაარსობრივად იგივეა, რაც ისლამის კანონმდებლობის წყაროდ დასახელება, თუმცა აქ უფრო გამძაფრებულია კავშირი რელიგიასთან, რადგან კონსტიტუციით ნეგატიურ ჭრილშია წარმოდგენილი ისლამის საწინაააღმდეგო კანონმდებლობის მიღება. ისლამთან განსაკუთრებულ კავშირზე მიუთიეთებს **პაკისტანის** კონსტიტუციაც¹², რომელშიც კონსტიტუციის დონეზეა გაწერილი ისლამური ცხოვრების გზის წესები და კანონები, კავშირი კიდევ უფრო უკიდურესადაა გამძაფრებული ირანის შემთხვევაში. **ირანის** კონსტიტუციის პრეამბულაშივეა სხვადასხვა ფორმულირებით, რომ მთელი კონსტიტუცია და შარიათი წარმოადგენს ისლამურ კანონს, რომელიც დაფუძნებულია ორ ძირითად წყაროზე, ყურანსა და ტრადიციაზე¹³. კანონმდებლობა ისლამის პრინციპებს სრულად შეესაბამება, უფრო კონკრეტულად კი, კონსტისტუციის მე-2 მუხლში წერია, რომ ირანის სახელმწიფო ეყრდნობა იდეას, რომ არსებობს ერთი ღმერთი, რომლის წინაშეც ვალდებულნი არიან და რომლის ბრძანებებსაც უნდა მისდიონ, სწორედ ღვთიური სამართლიანობა უნდა იყოს ნაჩვენები კანონმდებლობაშიც.

მიუხედავად იმისა, რომ 10-ივე ქვეყნის მაგალითზე კარგად ჩანს, თუ რა მჭიდრო კავშირი აქვთ ისლამთან, მაინც შესაძლებელია ამ კავშირის ხარისხის განმანსხვავებელი ნიშნების შემჩნევა, რომელიც გამოკვეთილია ზე-

Saudi Arabia – Constitution 1992 https://www.le-gal-tools.org/doc/8942f2/pdf/ [Last seen: 30.11.2022].

მოთ. თურქეთის კონსტიტუციაში არ ვხვდებით მსგავს ჩანაწერს, რაც ცხადია, გამომწვეულია მისი რელიგიური სეკულარიზმით. მიუხედავად იმისა, რომ სტატიის ძირითადი მიზანი აქცენტის სასამართლო ხელისუფლებაზე გაკეთებაა, აუცილებელია მკითხველს გააზრებული ჰქონდეს, თუ რა ტიპის სახელმწიფოებთან გვაქვს საქმე და როგორაა მათი კავშირი განმტკიცებული ისლამთან. ამ წარმოდგენის გარეშე შეუძლებელი იქნება კონკრეტულად რომელიმე კონსტიტუციურ ინსტიტუციაზე, ამ შემთხვევაში სასამართლო ხელისუფლებაზე, საუბარი.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘ

მიუხედავად იმისა, ზემოთ მოცემულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ თურქეთის გარდა სხვა ქვეყნების შემთხვევაში ისლამის გავლენა საკმაოდ დიდია (ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებულად) ქვეყნის სამართლებრივ სამყაროზე, მათი სამართლებრივი ინსტიტუციების სისტემების ერთმანეთთან გაიგივება, რა თქმა უნდა, არასწორი იქნება. ამიტომ ამ ეტაპზე საჭიროა განვიხილოთ, თუ როგორი სასამართლო სისტემებია ჩამოყალიბებული საკვლევ ქვეყნებში. საერთო მახასიათებლად უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნების პოლიტიკური იდელოგიებიდან და მდგომარეობიდან გამომდინარე, ძალიან ხშირია სამხედრო სასამართლოების არსებობა. მაგალითად, პალესტინის სასამართლო სისტემა შედგება პირველი ინსტანციის სასამართლოებისგან, შემდეგაა "უფრო მაღალი" (higher court) სასამართლო, რომელიც აერთიანებს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს. ცალკეა გამოყოფილი ადმინისტრაციული სასამართლო, რომელიც ცალკე განიხილავს ადმინისტრაციულ და დისციპლინურ საკითხებს (კონსტიტუციის 102 – ე მუხლი).¹⁴ ასევე მოქმედებს საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის უფლებამოსილებაა კანონმდებლობის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა და საერთო სასამართლო-

¹¹ Iraq's Constitution 2005. Article 2. https://www.constituteproject.org/constitution/Iraq_2005.pdf?lang=en [Last seen: 30.11.2022].

The Constitution of the Islamic Republic of Pakistan. Article 2 [28.02.2012]. https://na.gov.pk/uploads/documents/1333523681_951.pdf [Last seen: 30.11.2022].

Constitution of Islamic Republic of Iran 1979. https://www.constituteproject.org/constitution/Iran_1989.pdf [Last seen: 30.11.2022].

Constitution of the State of Palestine. [7 March 2003, revised in March 25,2003] http://menarights.org/sites/default/files/2016-11/PAL_Constitution2003_EN_0.pdf [Last seen: 30.11.2022].

ებსა და ადმინისტრაციული სასამართლოს დავების განსჯადობასთან დაკავშირებით (თუ რომელი სასამართლოს განსჯადია კონკრეტული საქმე), ამაზე მიანიშნებს პალესტინის კონსტიტუციის 103-ე მუხლი. ამ სისტემის მსგავსია საუდის არაბეთის სასამართლო სისტემა, 5 იმ განსხვავებით, რომ იქ არ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსი წარმონაქმნი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს პირად დასახელებულია მეფე. როგორც ვხედავთ, პალესტინაში საკმაოდ მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სასამართლო სისტემა, რასაც ვერ ვიტყვით ქუვეითზე, სადაც სასამართლოს შესახებ თავი კონსტიტუციაში მხოლოდ ზოგადი პრინციპებით შემოიფარგლება და არ კონკრეტდება, თუ როგორი სასამართლო სისტემა აქვს ქვეყანას. პალესტინაზე კიდევ უფრო მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული კონსტიტუციის დონეზე სასამართლო სისტემა ერაყს, კონსტიტუციის 89-ე მუხლში ვხვდებით იმ ორგანოთა ზუსტ დასახელებებს, რომლებიც ახორციელებენ სასამართლო ხელისუფლებას. შემდგომ მუხლებში კი დაწვრილებითაა მოცემული მათი კომპეტენციები. ეს ორგანოებია: იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ფედერალური უმაღლესი სასამართლო, რომელიც ითავსებს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციებს, საკასაციო სასამართლო. ამავე მუხლშია გამოყოფილი სასამართლო დევნის დეპარტამენტი, რომელშიც მოიაზრება პროკურატურა, საინტერესოა ეს სპეციფიკა, რომ განსხვავებით მანამდე განხილული ქვეყნებისგან, პროკურატურა სასამართლო სისტემის ნაწილადაა მიჩნეული. ავღანეთის შემთხვევა გავს ერაყის სასამართლო სისტემას, თუმცა აქ პროკურატურა არ მოიაზრება სასამართლო ხელისუფლების ორგანოდ.16 ერაყის მსგავსად პროკურატურა სასამართლო სისტემის, იუსტიციის ნაწილია ეგვიპტის შემთხვევაშიც, სადაც კონსტიტუციით დეტალურადაა გაწერილი ეს სისტემა. საერთო სასამართლოს სისტემაში ცალკეა გამოყოფილი სასამართლო, რომელიც მხოლოდ ადმინისტრაციულ საჩივრებს განიხილავს. ეგვიპტეშიც ვხვდებით საკონსტიტუციო სასამართლოს, რომლის კომპეტენციებიც წინა ქვეყნების სასამართლოების კომპეტენციების მსგავსია. სომალის შემთხვევაში არსებობს Supreme Court, რომელიც აერთანებს სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტაციულ სასამართლოებს, ამასთანავე მას ეკუთვნის საკონსტიტუცციო სასამართლოს კომპეტენციები. მალაიზიის კონსტიტუციაშიც საუბარია Supreme Court-ზე, რომელიც მოხსნიებულია ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ავტორიტეტად. საკმაოდ სრული სასამართლო სისტემა აქვს თურქეთს, აქ არსებობს სახელმწიფო უშიშროების სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის შესახებ საქმეებს. უმაღლესი სასამართლო ორგანოებია: უმაღლესი საკონსტიტუციო სასამართლო, სააპელაციო სასამართლო და სახელმწიფო საბჭო, რომელიც შინაარსობრივად საკასაციო სასამართლოა. ცალკეა გამოყოფილი უმაღლესი აუდიტორული სასამართლო და დავების მარეგულირებელი საბჭო, რომელიც სასამართლოთა შორის დავების განსჯადობას განიხილავს.^{17,18}

მოცემული მომიხილვა ცხადყოფს, რომ სასამართლოების სისტემა აღნიშნულ ქვეყნებში ერთმანეთის მსგავსია, თუმცა ასევე ცხადია ის სერიოზული განსხვავებები, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ. საბოლოო ჯამში მნიშვნელოვანია, რომ განხილული ქვეყნების მაგალითზე გამოჩნდა, მათ აქვთ ჩამოყალიბებული სასამართლო სისტემები, რომლებიც ასე თუ ისე მეტნაკლებად კონსტიტუციის დონეზე აქვთ გაწერილი, ამ დასკვნის გაკეთება კი საჭიროა რათა უფრო სიღრმისეულად მივუახლოვდეთ კვლევის მთავარ მიზანს და ვიმსჯელოთ ამ სასამართლო სისტემებზე ისლამის გავლენაზე.

ᲨᲐᲠᲘᲐᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ. ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘ

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ შედარებითი ანალიზის მეთოდით უზოგადესად მიმოვიხილეთ კონკრეტული ქვეყნების სასამართლო სისტემები, საჭიროა ცალკე გამოიყოს

¹⁵ Saudi Arabia – Constitution 1992. https://www.le-gal-tools.org/doc/8942f2/pdf/ [Last seen: 30.11.2022].

Iraq's Constitution 2005. https://www.constituteproject.org/constitution/Iraq_2005.pdf?lang=en [Last seen: 30.11.2022].

¹⁷ THE CONSTITUTION OF THE ARAB REPUBLIC OF EGYPT, 1971. https://constitutionnet.org/sites/default/files/Egypt%20Constitution.pdf [Last seen: 30.11.2022].

¹⁸ Constitution of the Republic of Turkey [7.11.1982]. https://www.refworld.org/docid/3ae6b5be0.html [Last seen: 30.11.2022].

პაკისტანის შემთხვევა. კონსტიტუციის ჩანაწერის მიხედვით, აქ გვხვდება პირველი ინსტანციის სასამართლო და უმაღლესი ინსტანცია, უმაღლესი ინსტანციის ექსკლუზიურ კომპეტენციაში შედის ადმინისტრაციულ და ფედერალურ ორგანოებს შორის არსებული დავების განხილვა. მთავარი მიზეზი პაკისტანის სასამართლო სისტემის განცალკავებული მიმოხილვისა არის შარიათის ფედერალური სასამართლო, რომელსაც შეთავსებული აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციები. თავად სასამართლოს სახელწოდება მიანიშნებს მკაცრ რელიგიურ კონტროლზე. სასამართლოს ძირითადი მიზანი სწორედ საკანონმდებლო აქტების ისლამის პრინციპებთან და ტრადიციებთან, შარიათთან შესაბამისობის დადგენაა. მას აქვს უფლებამოსილება ძალადაკარგულად გამოაცხადოს ნებისმიერი აქტი, რომელიც თვლის, რომ არ შეესაბამება ისლამს. შარიათის სასამართლოს ასევე აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება განიხილოს სისხლის სამართლის განსაკუთრებული საქმეები. აღსანიშნავია, რომ ამ სასამართლოს არსებობას ხშრად აპროტესტებს პაკისტანის საზოგადოება, თუმცა შარიათის სასამართლო კვლავ რჩება სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელ უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ ორგანოდ.¹⁹

ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲐᲖᲔ

ჩვენ უკვე მიმოვიხილეთ სასამართლო ხელისუფლების რა ორგანოები არსებობს საკვლევ ქვეყნებში, ასევე, ხაზი გავუსვით რამდენად მჭიდროდაა თითოეული ქვეყნის კანონმდებლობა დამოკიდებული ისლამზე. რაც შეეხება ისლამის გავლენას უშუალოდ ქვეყნების სასამართლო სისტემებზე, ლოგიკურია, რომ ეს გავლენა პირდაპირპროპორციული იქნება ისლამის კანონმდებლობაზე გავლენისა, რომელსაც უკვე ზოგადად შევეხეთ. ისლამის რელიგია თავისი არსით ითავსებს პოზიტიური სამართლის ფუნქციებსაც, ამის გამოვლენაა ისეთი აქტის არსებობა, როგორი-

ცაა შარიათი. შარიათში გაწერილია ისლამის ძირითადი პრინციპები, კონკრეტული დანა-შაულები და მათი შესაფერისი სანქციები, მაგალითად, ქურდობა ისჯება მარჯვენა ხელის ამპუტაციით. მოცემული მაგალითი საკამოდ ჰუმანურია შარიათში მოცემული სხვა დათქმების ფონზე, თუმცა ამ ეტაპზე ისლამურ კანონმდებლობაზე ვრცელი მსჯელობა ვერ იქნება რელევანტური.

ისლამი ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევა-ში უშუალო გავლენას ახდენს თავად სასამა-რთლო სისტემის ფორმირებაზე, ამის მაგა-ლითია თუნდაც ზემოხსენებული პაკისტანი, სადაც უმაღლესი ფედერალური სასამართლო შარიათის სასამართლოდაა ცნობილი, რომე-ლიც ითავსებს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას, თუმცა კანონმდებლობის შე-საბამისობას ისლამურ კანონთან ადგენს.

სასამართლო ხელისუფლების ფორმირებაზე ისლამის გავლენაზე მსჯელობის ეტაპზე უნდა აღვნიშნოთ ერაყის შემთხვევაც. კერძოდ, საუბარია ერაყის კონსტიტუციის 92-ე მუხლზე, რომელიც ეხება ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს სასამართლო ითავსებს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციებს. საგულისხმოა თავად სასამართლოს შემადგენლობა 92-ე მუხლის მე-2 პუნქტით. სასამართლო შედგება 5 მოსამართლისაგან, მეცნიერი იურისტებისგან და ისლამური რელიგიის ექსპერტებისგან. კონსტიტუციაშივეა მითითება კანონზე, რომელიც მოაწესრიგებს მათ რაოდენობასა და არჩევის წესს. როგორც ვხედავთ, ერაყში სასამართლო ხელისუფლების არათუ განხორციელების, არამედ ფორმირების ეტაპზევე შეინიშნება ისლამის ძლიერი გავლენა. ირანის კონსტიტუციის მე-7 თავი შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, აქ პირდაპირი მითითება არ არის სასამართლოს ფორმირების წესზე, თუმცა ცალკეა გამოყოფილი ირანის უმაღლესი სასამართლო, რომლის ფორმირების წესი ცალკე კანონითაა მოწესრიგებული.20 სასამართლოს შემადგენლობაში ერაყის მსგავსად აქაც ვხვდებით ისლამის რელიგიის სპეციალისტებს, რომელთა კომპეტენციაც სასამართლო ანალიზისა თუ გადაწყვეტილებების

The Constitution of the Islamic Republic of Pakistan. Article 2 [28.02.2012]. https://na.gov.pk/uploads/documents/1333523681_951.pdf [Last seen: 30.11.2022].

²⁰ Iraq's Constitution 2005. https://www.constituteproject.org/constitution/Iraq_2005.pdf?lang=en [Last seen: 30.11.2022].

შარიათთან შესაბამისობაში მოყვანაა. ასევე საინტერესო ჩანაწერია პალესტინის კონსტიტუციაში, კერძოდ, 101-ე მუხლში მოცემულია, რომ განსაზღვრული საკითხები რეგულირდება შარიათით და იგი მიეკუთვნება რელიგიურ სასამართლოებს. ამგვარი სასამართლოების განსჯადი საკითხების ჩამონათვალი კონსტიტუციაში არ არის მოცემული და, სავარაუდოდ, ის უნდა ვეძებოთ პალესტინის კონკრეტულ ნორმატიულ აქტებში.²¹ მსგავსი საკითხები შესაძლოა შეეხებოდეს მემკვიდრეობით სამართალს, რადგან ისლამურ სახელმწიფოებში, მაგალითად ქუვეითში, მემკვიდრეობითი სამართალი სრულად რეგულირდება ისლამური კანონით, ანუ შარიათით (ქუვეითის კონსტიტუციის მე-18 მუხლი).²²

ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, ეგვიპტე, მალაიზია და სომალი, სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბების ეტაპზე ისლამის უშუალო გავლენა კონსტიტუციის დონეზე არ შეიმჩნევა. ყურადღებას იმსახურებს ავღანეთის შემთხვევა, რომელიც განსხვავდება ზემოხსენებული ქვეყნებისაგან. აქ კონსტიტუციის 118-ე მუხლი ადგენს უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეებისთვის საჭირო კვალიფიკაციებსა და მოთხოვნებს. მაგალითად, ისეთს, როგორიცაა – კარგი რეპუტაცია და ავღანეთის მოქალაქეობა. სწორედ ამგვარი კრიტერიუმების თანაბრად, ავღანეთის კონსტიტუციით მოთხოვნილია, რომ მოსამართლეს ჰქონდეს უმაღლესი განათლება ისლამურ სამართალში. მოცემული შემთხვევა საკმაოდ სპეციფიკურია, რადგან ერაყისგან განსხვავებით, პირდაპირ არაა დადგენილი სასამართლო ხელისუფლებაში ისლამის ექსპერტის არსებობის აუცილებლობა, თუმცა ავღანეთის ამ კონსტიტუციური დათქმით იგულისხმება, რომ უმაღლესი სასამართლოს ყველა მოსამართლეს უნდა ჰქონდეს სიღრმისეული ცოდნა ისლამური სამართლისა.23 ეს კი იმაზე დიდ გავლენას ახდენს სასამართლო

Constitution of the State of Palestine [7 March 2003, revised in March 25,2003]. http://menarights.org/sites/default/files/2016-11/PAL_Constitution2003_EN_0.pdf [Last seen: 30.11.2022].

ხელისუფლების ფორმირებაზე, ვიდრე ერაყის შემთხვევაში.

ასევე სპეციფიკურია საუდის არაბეთის შემთხვევაც, სადაც უმაღლესი სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი პირი მეფეა, რომელიც ალაჰის წინაშეა პასუხისმგებელი და რომლის ყველა გადაწყვეტილებაც შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ისლამურ კანონთან. რაც შეეხება თურქეთს, გასაკვირი არ არის, რომ მის შემთხვეაში არანაირი ჩანაწერი არ გვხვდება კონსტიტუციაში, რომელიც მიუთითებს მისი სასამართლო სისტემის რაიმე ნიშნით ისლამური რელიგიის გავლენის ქვეშ მოქცევაზე. ეს გასაკვირი არ არის და ამაზე მეტყველებს წინა თავებში მოცემული მსჯელობაც.²⁴

ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲖᲔ

სასამართლო ხელისუფლებაზე გავლენად მოიაზრება გავლენა როგორც სასამართლოს ფორმირებაზე, ასევე სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებაზე. ზემოთ უკვე მიმოვიხილეთ გავლენა ფორმირების ეტაპზე. შესაბამისად, შესაძლოა გაჩნდეს განცდა, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, მალაიზია ან ეგვიპტე, სადაც კონსტიტუციის დონეზე ვერ ვხედავთ ჩანაწერს, რომელიც სასამართლო ხელისუფლების ფორმირების დროს უშუალოდ აქცენტს არ აკეთებს ისლამური მოთხოვნების კუთხით, არ არსებობს ისლამის გავლენა. მსგავი წარმოდგენა არ შეესაბამება რეალობას, რადგან განსახილველი ქვეყნების სრულ უმრავლესობაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კანონმდებლობის უშუალო, ძირითადი წყარო არის შარიათი. გარდა ამისა, კონსტიტუციებში ჩვენ ვხვდებით ჩანაწერებს, რომლებიც არ აპელირებენ უშუალოდ სასამართლო ფორმირებაზე, თუმცა ცხადყოფენ, რომ ისლამი პირდაპირ გავლენას ახდენს სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაში. თავდაპირველად მიმოვიხილავ ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა ეგვიპტე, მალაიზია და სომალი, რადგან ისინი

²² Kuwaiti Constitution. https://wipolex-res.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/kw/kw004en.pdf [Last seen: 30.11.2022].

²³ Afghanistan's Constitution 2004. https://www.constitution/Afghanistan_2004.pd-f?lang=en [Last seen: 30.11.2022].

²⁴ Saudi Arabia – Constitution 1992. https://www.legal-tools.org/doc/8942f2/pdf/ [Last seen: 30.11.2022].

სწორედ იმ ნიშნით ერთიანდებიან, რომ მათი სასამართლოების ფორმირების ეტაპზე ისლამის უშუალო გავლენა არ გვხვდება. ეგვიპტის შემთხვევა საკმაოდ მარტივია, კერძოდ სასამართლო ხელისუფლების თავში არანაირი დათქმა არ არის ისლამზე, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებანი კანონშესაბამისი უნდა იყოს, კონსტიტუციით კი კანონის ძირითადი წყაროა ისლამური სამართალი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან, ეგვიპტის კონსტიტუცია განსაკუთრებულ უპირატესობებს ანიჭებს იუდაიზმსა და ქრისტიანობას, ეს უპირატესობები კონსტიტუციურადაა გაწერილი მე-3 მუხლში, რომელშიც ნათქვამია, რომ კანონმდებლობის წყარო, ასევე, შესაძლოა იყოს სწორედ ამ ორი რელიგიის კანონები. სომალთან დაკავშირებით აღსანიშნავია საინტერესო ჩანაწერი, კერძოდ, კონსტიტუციის 98-ე მუხლი, რომელიც ადგენს ნორმათა კონსტიტუციურობას. აქ კი იგულისხმება არამხოლოდ კონკრეტული ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისობა, არამედ პირდაპირაა მითითება ისლამურ პრინციპებზე, შესაბამისად, ცხადია, რომ სასამართლო, რომელიც ნორმის კონსტიტუციურობას ადგენს, ზედმიწევნით ხელმძღვანელობს ისლამური სამართლით. მსგავსი მოწესრიგებაა ქუვეითსა და ერაყში, სადაც კანონმდებლობის წყარო ისლამური კანონია. მალაიზიაის სახელმწიფოს სათავეშია Yang di-Pertuan Agong, ანუ მეფე, რომელიც საუდის არაბეთის მეფის მსგავსად პასუხისმგებელია ღმერთის, ალაჰის წინაშე. სასამართლო ხელისუფლება მასაა დაქვემდებარებული, შესაბამისად მის ხელშია მართლმსაჯულება, ამიტომ განსაკუთრებულ არგუმენტაციას არ საჭიროებს ის დასკვნა, რომ ამ ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე ისლამის გავლენა უდიდესია.25

განხილული ქვეყნების მაგალითზე კიდევ ერთხელ შევაჯამებ, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ქვეყნებში პირდაპირი გავლენა არ იგრძნობა ფორმირების წესზე, ფაქტია, რომ სასამართლოზე ისლამი სერიოზულ გავლენას ახდენს. ფაქტობრივად, ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო დონის მექანიზმი სრულადაა მორგებული ისლამის მოძღვრებას. პალესტინის შემთხვევაში ცალკეულ დებულებას არ ვხვდებით კონსტიტუციაში, თუმცა ისლამის გავლენის ცხადყოფისთვის ისიც საკმარისია, რომ იქ კონსტიტუციურადაა დადგენილი საეკლესიო სასამართლოების არსებობა, რომლებიც ხელმძღვანელობენ შარიათით.

საინტერესოა ავღანეთის ასევე, თხვევა, სადაც კონსტიტუციის 119-ე მუხლში მოცემულია ფიცი, რომელსაც დებს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე. საყურადღებოა ფიცის სიტყვები, როცა მოსამართლე ფიცს დებს ღმერთის წინაშე, რომ მართლმსაჯულებას განახორციელებს წმინდა ისლამის კანონების დაცვით.26 შესაძლოა არსებობდეს მოსაზრება, რომ ფიცის დადება საკმაოდ სიმბოლური პროცესია, რომელიც ახასიათებს სეკულარული სახელმწიფოების მოსამართლეებსაც კი, თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი სწორედ ფიცის ტექსტია, რომელშიც აპელირება ხდება ისლამის კანონებზე, შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ ისლამი ავღანეთის სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზეც დიდ გავლენას ახდენს. ასეთი პირდაპირი და უშუალო გავლენა ნაკლებად შეინიშნება იემენის კონსტიტუციაში, თუმცა ეს ქვეყანაც მიეკუთვნება იმ ქვეყანათა რიგს, სადაც კანონმდებლობის წყარო შარიათია, ამიტომ სასამართლო გადაწყვეტილება ვერც ერთ ვარიანტში იქნება ისლამთან შეუსაბამო, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მართლმსაჯულების განხორციელებაზე ისლამის პირდაპირი გავლენა კონსტიტუციით არ არის დადგენილი. მსგავსი ქვეყნების შემთხვევები შესაძლოა გარკვეული პროგრესისა და პერსპექტივების დანახვის საშუალებასაც კი აძლევდეს პოზიტიურ მკითხველს.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ უკიდურესად თეოკრატიული ქვეყნის – ირანის კონსტიტუციაში განცალკევებით ვხედავდეთ ნორმას, რომელიც უშუალოდ მიუთითებს სასამართლოზე ისლამის გავლენაზე. ასეთი ნორმაა კონსტიტუციის 170-ე მუხლი, რომლის თანახმადაც სასამართლოებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთ გადაწყვეტილებების მიღებისგან, რომლებიც

²⁵ Laws of Malaysia Federal Constitution 2009. https://www.jac.gov.my/spk/images/stories/10_akta/perlem-bagaan_persekutuan/federal_constitution.pdf [Last seen: 30.11.2022].

²⁶ Afghanistan's Constitution 2004. https://www.constitution/Afghanistan_2004.pd-f?lang=en [Last seen: 30.11.2022].

ეწინააღმდეგება ისლამურ კანონს. ეს თავშეკავებულობა ვალდებულებაა და არა დისკრეცია. მეტიც, ნებისმიერ პირს შეუძლია ნებისმიერი აქტის გასაჩივრება, რომელიც ეწინააღმდეგება ისლამურ კანონს ადმინისტრაციულ სასამართლოში. ასევე საინტერესო ჩანაწერები გვხვდება საუდის არაბეთის კონსტიტუციაში, რომელიც ფორმალურად ცოტათი განსხვავდება განხილული ქვეყნებისგან და რომლებიც უფრო მეტად 11 აახლოვებს სასამართლო სისტემას ისლამთან. კერძოდ, კონსტიტუციის 46-ე მუხლით ნათქვამია, რომ სასამართლო დამოუკიდებელია და მასზე გავლენის მოხდენა დაუშვებელია, თუმცა იქვე გამონაკლისად მიუთითებს შარიათს, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მართლმსაჯულების განხორციელებაზე. ასევე 48-ე მუხლით განმტკიცებულია შარიათის აქტიური გამოყენება მართლმსაჯულების პროცესში.27 ზემოთ უკვე ცალკე იყო მსჯელობა პაკისტანის სასამართლო სისტემაზე, შარიათის სასამართლოს არსებობა განსაკუთრებულ დასაბუთებას არ მოითხოვს და ცხადია, რომ ეს სასამართლო სხვა არაფერია, თუ არა ისლამის კანონის აღსრულება. თურქეთთან დაკავშირებით კი კვლავ იმის თქმა შეიძლება, რომ იგი ინარჩუნებს სეკულარული სახელმწიფოს პრინციპს და იმთავითვე გამორიცხულია საკონსტიტუციო დონეზე ისლამის გავლენა.

@36363

როგორც სტატიის დასაწყისშია აღნიშნული, სასამართლო ადამიანის უფლების დაცვის ერთ-ერთი ძირითადი გარანტია. ჩვენი კვლევის თემა არ ყოფილა ადამიანის უფლებები ისლამურ სახელმწიფოებში, თუმცა მკითხველისთვის ალბათ სიახლე არ უნდა იყოს, რომ, სამწუხაროდ, ისლამურ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტები უამრავია. სტატიის მიზანი სწორედ იმ ფაქტის წარმოჩენა იყო, რომ რელიგიური იდეოლოგიის ძლიერმა გავლენამ სასამართლო სისტემებზე შესაძლოა ისეთ შედეგებამდე მიგვიყვანოს, როგორი შედეგებიც ისლამურ სა-

27 Constitution of Islamic Republic of Iran 1979. https://www.constituteproject.org/constitution/Iran_1989.pdf [Last seen: 30.11.2022].

მყაროში არცთუ ისე იშვიათია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკვლევი ქვეყნებიდან 11 იყო წმინდად თეოკრატიული ქვეყანა, რომელიც სახელმწიფო რელიგიად აცხადებდა ისლამს. მე-12 ქვეყანა – თურქეთი – სეკულარული სახელმწიფოა. შესაძლოა გაჩნდეს განცდა, რომ ამ 11 ქვეყანასთან ერთად თურქეთის განხილვა არარელევანტური იყო, თუმცა ამ შედარებით მინდა ხაზი გავუსვა მნიშვნელოვან გარემოებას. თურქეთში მოსახლეობის (98%) ისეთივე უმრავლესობაა ისლამის მიმდევარი, როგორც მაგალითად ქუვეითსა თუ პალესტინაში, თუმცა მიუხედავად ამისა, ამ სახელმწიფომ შეძლო რელიგიური იდეოლოგიისგან დამოუკიდებლად შეექმნა სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებასთან უფრო ახლოს მდგომი სახელმწიფო. ეს კი მიანიშნებს იმაზე, რომ მხოლოდ რელიგიური ფაქტორი არ არის განმსაზღვრელი სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში, კონკრეტული რელიგიის მიმდევართა უმრავლესობა სახელმწიფოში არ ნიშნავს (არ უნდა ნიშნავდეს) რელიგიის ისეთ გავლენას, როგორიცაა განხილულ 11 ქვეყანაში.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისლამურ სამყაროში დარღვეული ადამიანის უფლებების შემთხვევები მხოლოდ "ისლამის პასუხისმგებლობა" არაა, სახელმწიფო ინსტიტუციებს შეუძლიათ მკვეთრად გამოხატული რელიგიური დოგმატიკის რეჟიმშიც დამოუკიდებელი არსებობა და ამის მაგალითი სწორედ თურქეთია, მუსლიმი მოსახლეობის უმრავლესობით.

განხილულ 11 ქვეყანაში გამოკვეთილი განსხვავებების მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ ისლამის გავლენა სასამართლო ინსტიტუციებზე თანაბრად ძლიერია, თუმცა განსაკუთრებულად გამოირჩევა ირანი, საუდის არაბეთი, ავღანეთი და პაკისტანი, სადაც მოქმედებს შარიათის ფედერალური სასამართლო. შედარებით პროგრესულად შესაძლოა ჩაითვალოს იემენი, თუმცა ამ პროგრესის დანახვაც განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს. მოცემული სტატიის ფარგლებში, რა თქმა უნდა, სიღრმისეულად არ არის შესწავლილი პრობლემა და ის შემოიფარგლება ქვეყნების კონსტიტუციების დონეზე ისლამის სასამართლო ხელისუფლების გავლენით. ვფიქრობ, პროგრესულია სწორედ ის პოზიცია, რომელიც უკვე გამოვხატეთ თურქეთის მაგალითთან დაკავშირებით და პრობლემის აღმოსაფხვრელად სწორედ თურქეთის მაგალითის სიღრმისეული შესწავლა და გაზიარება იქნება ეფექტიანი.

პრობლემა რომ აქტუალურია, ეს აღნიშვნას აღარ საჭიროებს. შორეული და თან არც ისე შორეული აღმოსავლეთის უსამართლობის განცდა ჩვენამდეც აღწევს, გვინდა თუ არა ეს, ჩვენც ვხვდებით პროტესტის ნაწილნი, მაჰსა ამინის გამო უსამართლობით შეძრწუნებულნი, ჩვენთანაც იჭრიან გოგონები თმას სოლიდარული ჟესტით. არ უნდა დაგვავიწყდეს საქმე ეხება ადამიანების სიცოცხლეს და სხვა უმნიშვნელოვანეს უფლებებს, უფლებებს, რომლებიც ბუნებითია და არა კონკრეტული სახელმწიფოს სიკეთე. საჭიროა ამ მიმართულებით გაფართოვდეს მიზნობრივი კვლევები, რომლებიც უბრალოდ უფლებათა დარღვევის ფაქტებს არ გამოააშკარავებს, არამედ უფრო მეტად კონცენტრირდება ამ ფაქტების წინარე სასამართლო სამწუხაროდ, საერთაშორისო პროცესებზე. სამართალი უძლურია ასეთ ფაქტების წინაშე, რადგან საერთაშორისო სამართლის მთავარი კონცეფცია იმაში მდგომარეობს, რომ არეგულირებს იმ ქვეყნების სამართლებრივ ურთიერთობებსა და სამართლებრივ მდგომარეობას იმ დოზით, რა დოზითაც თავად ეს მხარეები თანხმდებიან. ადამიანების ჩაქოლვა და დასახიჩრება რომ კონკრეტულ ქვეყნებში სამართლებრივად დაშვებული სანქციაა, ვფიქრობ, ეს პირველ რიგში სამართლის პრობლემაა და არა რელიგიის, რადგან სამართალი უნდა იცავდეს ადამიანს და როცა ეს საჭიროა, სამართალი ადამიანს უნდა იცავდეს კონკრეტული რელიგიისგანაც კი.